Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის

საინფორმაციო ბიულეტენი

გამოცემა N2

აპრილი-ივნისი, 2020

კვარტალურ გამოცემაში გაეცნობით:

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის პასუხი კორონავირუსით გამოწვეულ კრიზისს 03

კორონავირუსის გავლენა სოფლის მეურნეობაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ანტიკრიზისული გეგმები 04

ლიდერთა სამიტი

გეო გაპის სტანდარტი 05

მობილური ლაბორატორია 06

აგრარული პროფესიული განათლება 07

ქალი მეწარმეები

ეს წალკაა 08

02 აგრო პრესი/AGRO PRESS

"საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ ფერმერთა მხარდასაჭერად ახალი პროექტი „აგრო პრესი/AGRO PRESS" დაიწყო.

აგრო პრესი/AGRO PRESS ყოველი კვირის სამშაბათს 20:00 საათზე გადის საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ფეისბუქ გვერდზე, რომლსიც წამყვანები საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე, ნინო ზამბახიძე და მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე, ბექა გონაშვილი არიან."

09 ფერმერული მეურნეობის მხარდამჭერი ინიციატივა

10 ციფრული ვაჭრობის უპირატესობები

11 ახალი ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში

აგრო პრესი/AGRO PRESS

საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ ფერმერთა მხარდასაჭერად ახალი პროექტი „აგრო პრესი/AGRO PRESS“ დაიწყო.

აგრო პრესი/AGRO PRESS ყოველი კვირის სამშაბათს 20:00 საათზე გადის საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ფეისბუქ გვერდზე, რომლის წამყვანები საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე, ნინო ზამბახიძე და მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე, ბექა გონაშვილი არიან.

აგრო პრესი/AGRO PRESS-ის პირდაპირ ეთერში ერთვებიან ბიზნესზე ორიენტირებული ფერმერები, ფინანსური ინსტიტუტები, სადაზღვევო ორგანიზაციები და ყველა დაინტერესეული მხარე.

ნინო ზამბახიძე : პოზიტიურად შევხედეთ Covid 19-ის გამოწვევებს და როგორც იცით, დიდი მოთხოვნა წამოვიდა ონლაინ შეხვედრებზე. ძალიან ბევრმა ადამიანმა გადაწყვიტა სოფლის მეურნეობაში ჩართვა და სულ იყო კითხვა: სად ვნახოთ კარგი ვეტერინარი, აგრონომი, ან პრაქტიკოსი ფერმერი? ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ონლაინ სივრცეში გაგვეკეთებინა გადაცემები, სადაც ჩაგვგვერთვებიან ფერმერები, დაინტერესებული მხარეები, იგივე ფინანსური ინსტიტუტები, სადაზღვეო ორგანიზაციები და ა.შ. რათა გავიგოთ, რა არის რეალური პრობლემა და როგორ შეიძლება მათი გადაწყვეტა“.



საქართველოს ფერმერთა ასოციაციის პასუხი კორონავირუსით გამოწვეულ კრიზისს

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

გლობალურმა გამოწვევამ - Covid-19-მა მთელი მსოფლიო მოიცვა და გააერთიანა მის წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნები საერთო გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. კორონავირუსის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჯანდაცვის სექტორის შემდეგ, სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ფერმერთა გაერთიანებებს (ასოციაციებს), სახელმწიფოს მთავრობასთან ერთად, ამ გამოწვევების გასამკლავებლად განსაკუთრებული როლი ენიჭება. ამიტომ საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის საპასუხოდ.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ, ფერმერთა წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევების დროულად შეფასების მიზნით, საგანგებო კვლევა ჩაატარა. აღნიშნული კვლევის ანალიზში ნაჩვენებია როგორც საქართველოს სასურსათო სექტორის მოწყვლადობა, ასევე ფერმერული მეურნეობების ძირითადი პრობლემები, რომლებიც კორონავირუსის ფონზე კიდევ უფრო გართულდა.

კვლევა იძლევა კონკრეტულ რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ როგორც კრიზისის, ისე პოსტ-კრიზისულ პერიოდში, რათა ქვეყანაში განვითარდეს სოფლის მეურნეობა და გაიზარდოს სასურსათო უსაფრთხოება.

შედეგად, საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისულ გეგმაში, სოფლისა და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის კუთხით, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის რამდენიმე ძირითადი რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული.

GFA-მ გამოაქვეყნა პასუხები ხშირად დასმულ კითხვებზე (FAQ), რომლებიც ფერმერებს ყველაზე მეტად აინტერესებდათ.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია გამოვიდა ინიციატივით და პარტნიორ ასოციაციებთან ერთად შეიმუშავა საქართველოს მთავრობისადმი მიმართვა ფერმერებისთვის გადაადგილების შეზღუდვების შერბილებასთან, ან სულაც, მოხსნასთან დაკავშირებით. შედეგად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, გადაადგილების შეზღუდვები შერბილდა, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები ფერმერთათვის საშვებს სწრაფი ტემპით გასცემდნენ, რათა მათი საქმიანობა არ შეფერხებულიყო.

მიმდინარე კრიზისის ფონზე, პროდუქციის რეალიზაცია ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად გამოიკვეთა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ ამ პრობლემის დასაძლევად მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია ქართველ ფერმერებს. კერძოდ, ასოციაციამ მოლაპარაკებები დაიწყო, ერთი მხრივ, სადისტრიბუციო კომპანიებთან და სარეალიზაციო ქსელებთან, მეორე მხრივ კი სპეციალური ონლაინ-კითხვარის საშუალებით შეაგროვა მონაცემები ყველა იმ ფერმერზე, რომელსაც გასაღების პრობლემა ჰქონდა. შედეგად, ასოციაციამ ფერმერები დააკავშირა შესაბამის სადისტრიბუციო კომპანიებთან და სარეალიზაციო ქსელებთან, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ფერმერთა პროდუქციის რეალიზაციას.

აღნიშნული თემის შესახებ ვრცელი ბლოგი ხელმისაწვდომია
საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ვებგვერდზე - https://bit.ly/333hQdu

კორონავირუსის გავლენა სოფლის მეურნეობაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ანტიკრიზისული გეგმები

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია



COVID19-ის მსოფლიო პანდემია ჯერ კიდევ სწრაფად ვრცელდება და უდიდეს უარყოფით გავლენას ახდენს როგორც ადამიანების ჯანმრთელობაზე, ასევე სურსათის მოთხოვნასა და მიწოდების ჯაჭვებზე.

სასურსათო კრიზისის რისკები სულ უფრო იზრდება, განსაკუთრებით - ღარიბი და მოწყვლადი ქვეყნებისათვის. საზღვრების ჩაკეტვა, კარანტინები, დახურული ბაზრები, ვაჭრობის შეფერხება... განსაკუთრებით, ვირუსისგან მძიმედ დაზარალებულ და სასურსათო უსაფრთხოების არმქონე ქვეყნებზე აისახება. ამის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია მთავრობების მიერ სწრაფი ნაბიჯების გადადგმა, რათა მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში მინიმუმამდე შემცირდეს სასურსათო უსაფრთხოების რისკი.

კორონავირუსის პანდემიის პირობებში, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში რესტორნების, სასტუმროების, კაფეების (HoReCa), სკოლების, სხვადასხვა დაწესებულებების, ფესტივალებისა და ღონისძიებების დახურვის/გაუქმების გამო სურსათზე მოთხოვნა მკვეთრად დაეცა და ზოგან, ფერმერებს პროდუქტის განადგურება უწევთ.

საზღვრების ჩაკეტვამ სეზონური მუშახელის გადაადგილება ფაქტობრივად შეაჩერა, რის გამოც ევროკავშირისა და ამერიკის ფერმები დასაქმებულების მკვეთრი დეფიციტის წინაშე დააყენა. ამ სექტორში ნაკლები ფულის მიმოქცევის გამო, ზოგიერთ ქვეყანაში ფერმერებს ფულის დეფიციტი შეექმნათ, ხოლო განვითარებადი ქვეყნები სურსათის მწვავე უკმარისობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

რაც შეეხება პოსტ საბჭოთა ქვეყნებს, 2020 წლის აპრილში, რუსეთის მთავრობამ და ევრაზიული კავშირის ქვეყნებმა დროებით აკრძალეს გარკვეული სასურსათო პროდუქტის ექსპორტი, როგორიცაა: ხახვი, ნიორი, ჭვავი, ბურღული, ფქვილი უხეშად დაფქული და მარცვლეულის გრანულები, წიწიბურა, ბრინჯი, მზა საკვები პროდუქტები წიწიბურასგან, სოიო და მზესუმზირის მარცვლები. 26 აპრილს კი რუსეთმა მარცვლეულის, მათ შორის, ხორბლის ექსპორტი 1 ივლისამდე სრულიად შეწყვიტა.

აღნიშნული ვითარება საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებისთვის დიდი გამოწვევაა, რადგან რიგ პროდუქტებზე იმპორტის დიდი წილი სწორედ ევრაზიული კავშირის ქვეყნებს ეკავათ.

საქართველოში, ვირუსის მიერ გამოწვეული გართულებებისგან სურსათის უსაფრთხოების რისკების შესამცირებლად, მთავრობამ „ხორბლის იმპორტის სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამა“ განახორციელა. მანამდე კი, ჯერ კიდევ მარტში, მთავრობამ სურსათის 9 პროდუქტზე ფასის სუბსიდირება დაიწყო. ამის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ, ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, „სოფლისა და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის“ პროგრამის განხორციელება დააანონსა, რომელიც ეტაპობრივად შევიდა ძალაში.

კრიზისულ პერიოდში მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების სწრაფად ჩატარება, რათა ქვეყნის ისედაც მოწყვლადი სასურსათო უსაფრთხოება კიდევ უფრო არ გაუარესდეს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ფერმერებს კარანტინის გამო საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით პრობლემები ექმნებოდათ. საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თაოსნობით, 11-მა ფერმერულმა ასოციაციამ მთავრობას საერთო წერილით მიმართა და ფერმერებისა და აგრობიზნესებისათვის შეზღუდვების შერბილება მოითხოვა.

აღნიშნული თემის შესახებ ვრცელი ბლოგი
ხელმისაწვდომია საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ვებგვერდზე - https://bit.ly/30UDzSq

ლიდერთა სამიტი

16 ივნისს, გაეროს გლობალური შეთანხმების მიერ ორგანიზებული ლიდერთა სამიტის ფარგლებში, კრიზისის და პოსტ-კრიზისულ პერიოდში პარტნიორობის მნიშვნელობის შესახებ პანელური დისკუსია გაიმართა. დისკუსიაში, სხვადასხვა ქვეყნის სპიკერებთან ერთად, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ზამბახიძე მონაწილეობდა.

პანელური დისკუსიის ფარგლებში, ნინო ზამბახიძემ პლატფორმა „ერთიანობის" შესახებ ისაუბრა, რომელიც „აჭარა ჯგუფის" აღმასრულებელ დირექტორ ვალერი ჩეხერიასთან და "ბიზნეს აქსელერატორი სპარკის" მენეჯერ სანდრო კანდელაკთან ერთად COVID-19 ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ შეიქმნა.

გეო გაპის სტანდარტი

კორონავირუსის გავრცელების პერიოდში ფერმერულ მეურნეობებში პირადი ჰიგიენის დაცვისა და სურსათის უვნებლობის საკითხები განსაკუთრებით საყურადღებო გახდა.

გეოგაპის სტანდარტი და სერტიფიცირების სქემა, რომელიც კარგ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკებს, რისკების შეფასებასა და პროცედურების დოკუმენტურ კონტროლს ეფუძნება, პირდაპირ პასუხობს ამ გამოწვევებს.

სტანდარტის მოთხოვნების სია, შეფასების ფორმა, გამაფრთხილებელი (საინფორმაციო) ნიშნების გამოყენების, პროცედურების გაწერისა და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმის შედგენა/განხორციელების კულტურა ფერმერულ მეურნეობებს ეხმარება თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებაში, პასუხისმგებლობების დეტალურად განაწილებასა და ხარისხიანი პროდუქტის მიწოდების ჯაჭვის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფაში.

საანგარიშო პერიოდში, გეოგაპის გუნდმა:

· შეიმუშავა კრიზისულ სიტუაციებში (პანდემია) მოქმედების გეგმა, რომელიც ნებისმიერმა ფერმერმა შეიძლება მოარგოს თავის პირობებს;

· ფერმერებისთვის დაამზადა სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშნები და უზრუნველყო სახელმწიფო რეგულაციებისა და რეკომენდაციების მიწოდება სამიზნე ჯგუფებისთვის (როგორც პირველადი მწარმოებ-ლებისთვის, ასევე გადამუშავებისა და სასაწყობე მეურნეობებისთვის);

· დაიწყო ფეისბუქ გვერდის საშუალებით ვიდეოების პირდაპირი ტრანსლირება სტანდარტის დანერგვითა და სერტიფიცირების გავლით დაინტერესებული ფერმერებისათვის;

საგანგებო მდგომარეობის დასრულებისთანავე განაახლა ფერმერულ მეურნეობებში ვიზიტები და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

მობილური ლაბორატორია

საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ, სატესტო რეჟიმში, აქტიურად დაიწყო მობილური ლაბორატორიის გამოყენება და ვიზიტები საანალიზო ნიმუშების იდენტიფიცირებისთვის (ნიადაგი, წყალი და ხილ-ბოსტნეული).

მობილური ლაბორატორია სერტიფიცირებისა და ექსტენციის მიზნებისათვის შეიქმნა. მისი მთავარი ფუნქცია, კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების შესაბამისად, ფერმერულ მეურნეობებში ლაბორატორიული ანალიზების საველე პირობებში ჩატარება იქნება.

მობილური ლაბორატორიის ფარგლებში შემოწმდება ნიადაგის, წყლისა და სურსათის ხარისხი, ასევე, მოხდება ნიმუშების შეგროვება და აკრედიტებულ ლაბორატორიამდე ტრანსპორტირება.

ლაბორატორიის ეკიპირებაში შედის მრავალი მოწყობილობა, მათ შორის: სათბურებში განათების საზომი ხელსაწყოები (PAR meter), მაცივარი/გასაციებელი კამერა, მიკროსკოპები და გამადიდებელი შუშები, პორტატული კომპიუტერი და პრინტერი, კონტეინერები, ბურღები ნიადაგის ნიმუშების ასაღებად, თერმომეტრები, სტერილური ბოთლები და სხვადასხვა მცირე ხელსაწყოები, რაც აუცილებელია მავნებლების/დაავადებების იდენტიფიცირებისთვის.

დღეის მდგომარეობით, ლაბორატორია უკვე დაბრენდილია ასოციაციისა და გეოგაპის ლოგოებით. ის ფერმერებს საშუალებას მისცემს გეოგაპის გუნდის დახმარებით ჩატარდეს ანალიზები. მობილური ლაბორატორიის გამოყენება, ასევე, მოხდება გეოგაპის ჯგუფის წევრების, მასერტიფიცირებლებისა და ფერმერების ტრანსპორტირებისათვის.

ზაფხულის განმავლობაში დაგეგმილია ფერმერების ხელშეწყობა სტანდარტის დანერგვის პროცესში, საკონსულტაციო საქმიანობის გაგრძელება და სერტიფიცირების სქემის შემდგომი განვითარება.

გეოგაპი ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებულ პროექტის „ზრდა“ ფარგლებში.

აგრარული პროფესიული განათლება



აგრარული უნარების გაძლიერების ორგანიზაცია

სამუშაოზე
დაფუძნებული
სწავლება
WORK-BASED
LEARNING

პროექტ „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების" ფარგლებში მოქმედ დარგობრივი უნარების ორგანიზაცია აგრო დუოში გაწევრიანების მსურველთა ინტერესი ეტაპობრივად იზრდება.

პროექტი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (MESCS) მხარდაჭერით, დარგობრივი უნარების ორგანიზაციის აგრო დუოს მონაწილეობითა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) კოორდინაციით.

დარგობრივი უნარების ორგანიზაცია აგრო დუო 2019 წლიდან უზრუნველყოფს აგრარულ სექტორში პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზარს შორის შესაბამისობას. ორგანიზაციის მიზანია ხარისხიანი პროფესიული განათლების ხელშეწყობით სოფლის მეურნეობაში ადამიანური რესურსის გაძლიერება.

6 ივნისს, აგრარული პროფესიული განათლებით დაინტერესებული კერძო სექტორისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია „მერსი ქორფსის" წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა შედგა.

შეხვედრას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის, დარგობრივი უნარების ორგანიზაციის, საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანების, ჟურნალისტიკის რესურსცენტრისა და „მერსი ქორფსის" წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია დარგობრივი უნარების ორგანიზაცია აგრო დუოს საქმიანობასთან დაკავშირებით, მათ შორის, ადგილობრივი და შვეიცარიის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ.

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

ქალი მეწარმეები

პროექტის „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში" ფარგლებში (პროექტს ფერმერთა ასოციაცია გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს), მაისის ბოლოს, ოცი გამარჯვებული ბენეფიციარი ქალი გამოვლინდა და მცირე გრანტებით დაფინანსდა.

ასევე, პროექტის ფარგლებში, ოცდაათი მეწარმე ქალის პროდუქტისა და მომსახურების ბრენდირება მოხდება (ლოგო, მესიჯბოქსი, ეტიკეტი). 150 ბენეფიციართან კი ფინანსური კონსულტანტის მიერ, საჭიროებაზე დაფუძნებით, შეიქმნება ინდივიდუალური სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც ბენეფიციარებს ბიზნესის განვითარების მოკლევადიან პერიოდში სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება.

ივნისის ბოლოს, პროექტის ფარგლებში, დასრულდა ქალების კატალოგზე მუშაობა, რომელიც განთავსდა ვებგვერდზე www.bywomen.ge. კატალოგი მოიცავს პროექტის ბენეფიციარების პროდუქტისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციას, რაც დაინტერესებულ მხარეს საშუალებას აძლევს დაუკავშირდეს ბიზნესს და შეიძინოს მისგან პროდუქტი.

Norwegian Ministry
of Foreign Affairs

ეს წალკაა

CENN
Caucasus Environmental NGO Network

პროექტი „ეს წალკაა" ევროკავშირის დაფინანსებითა და გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია CEEN-თან პარტნიორობით, ENPARD III-ის ფარგლებში ხორციელდება.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, საქართველოს ფერმერთა ასოციაციისა და რეგიონული განვითარების ასოციაციის (RDA) ერთობლივი ძალისხმევით, განხორციელდა წალკის ადგილობრივი განვითარების გუნდის (LAG) და პროექტის პოტენციური ბენეფიციარების ტრენინგები პროექტის მართვასა და მის შეფასებაში. დაიგეგმა და გაიწერა სამუშაოზე დაფუძნებული (WBL) მიმართულების ტრენინგების ჩატარების სამოქმედო გეგმა.

ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD

24 აპრილს, პროექტის „ფერმერული მეურნეობის მხარდამჭერი ინიციატივა“ ფარგლებში, ჩატარდა საჯარო დიალოგი თემაზე: ,,COVID 19 -ის გავლენა ფერმერებსა და სოფლის მეურნეობაზე - გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები“.



შეხვედრას, რომელიც ონლაინ-ფორმატში გაიმართა, მთავრობის ასოციაციის, სექტორული ასოციაციების, დონორი ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აღნიშნულ შეხვედრაზე, COVID 19-ის სოფლის მეურნეობაზე გავლენის შესაფასებლად, ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე, რატი კოჭლამაზაშვილმა, ფერმერთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები წარადგინა.

კვლევის განხილვას დისკუსია მოჰყვა, სადაც გამოიკვეთა COVID 19 -ის ძირითადი გამოწვევები: სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციაზე და აგრო-საშუალებებზე ხელმისაწვდომობა, სურსათის უვნებლობა, სამუშაო ძალის გადაადგილება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, საკანონმდებლო ინიციატივები. შეხვედრის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის დაესვათ კითხვები მათთვის საინტერესო საკითხებზე და მიეღოთ შესაბამისი პასუხები.

პროექტის „ფერმერული მეურნეობის მხარდამჭერი ინიციატივა“ ფარგლებში, ოთხ რეგიონში (კახეთი, ქვემო ქართლი, სამცხე - ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი) შეირჩა 72 ფერმერული მეურნეობა, რომელიც ფინანსურ დახმარებას მიიღებს. პროექტის ფარგლებში დაფინანსებული მიმართულებებია აგროტურიზმი, სასათბურე მეურნეობა, მესაქონლეობა და მეფრინველეობა.

პროექტი ითვალისწინებს ფერმერული მეურნეობების ფინანსურ თანამონაწილეობას თანადაფინანსების სახით, რომლის შესრულების შემდეგ პროექტის გუნდი მონიტორინგს ადგილზე ახორციელებს. გამარჯვებული ბენეფიციარებისთვის, რომელთა თანადაფინანსების კომპონენტი შესრულებულია, მიმდინარეობს შესყიდვებისა და აქტივების გადაცემის პროცესი.

პროექტი ხორციელდება ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC)
დაფინანსებითა და მხარდაჭერით.

ციფრული ვაჭრობის უპირატესობები

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

29 აპრილს, რძის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ ჩაატარა ვებინარი თემაზე: ონლაინ გაყიდვები – კრიზისის მართვა თუ ახალი შესაძლებლობა რძის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის. ვებინარს უძღვებოდა ციფრული მარკეტინგის სპეციალისტი გიორგი ბერეჩიკიძე.

ვებინარზე მსმენელები გაეცნენ შემდეგ თემებს:

- ციფრული ვაჭრობის უპირატესობები;
- ციფრული ვაჭრობის სირთულეები რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიებისთვის;
- ციფრული გაყიდვების ქართული პლატფორმები;
- სოციალური მედია – ბრენდის ცნობადობის გაზრდა თუ გაყიდვის დამატებითი არხი და შესაძლებლობა;
- ციფრული გაყიდვების ანალიზი და მონიტორინგი -წარმატების ძირითადი ინდიკატორები;
- ციფრული არხებით პროდუქციის გაყიდვის პროცესის/ციკლის აღწერა და სპეციფიკაციები.

ვებინარი, რომელსაც 36 მონაწილე ესწრებოდა, საინტერესო აღმოჩნდა მონაწილე რძის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის.



ვებინარის ვიდეო ჩანაწერი, იხილეთ ბმულზე: https://bit.ly/2W9AM5o

ვებინარზე გამოყენებული პრეზენტაცია კი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:

Farmers association webinar.

აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა ამერიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს (USDA) მიერ დაფინანსებული პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ ფარგლებში, რომელსაც საქართველოს ფერმერთა ასოციაცია 2019 წლიდან Land O'Lakes Venture 37-თან პარტნიორობით ახორციელებს.

ახალი ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში

საქართველოში, COVID 19-თან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, DEMETER-ის პროექტი აქტიურ ფაზაში შევიდა. ორ საპილოტე ობიექტზე - კახეთსა და შიდა ქართლის ტერიტორიაზე დამონტაჟდა ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი დანადგარები, რაც მოიცავს: ამინდის სადგურს, HD კამერით აღჭურვილ მწერების ხაფანგებს და სენსორულ ტექნიკას ნიადაგის ტენიანობის მონიტორინგისა და ჭკვიანი მორწყვის სისტემის ინტეგრაციისთვის.

DEMETER-ი არის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული 2-წლიანი პროექტი, რომელიც ხორციელდება პროგრამა „Horizon 2020-ის" ფარგლებში. მასში ჩართულია 60 პარტნიორი ორგანიზაცია, რომლებიც წარმოადგენენ 18 ქვეყანას (მათ შორის 15 ევროკავშირის წევრია). საქართველოში პროექტის პარტნიორია საქართველოს ფერმერთა ასოციაცია.
პროექტის მიზანია მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში სადემონსტრაციო ნაკვეთები მოეწყობა შერჩეულ რეგიონებში, სადაც მოხდება თანამედროვე ტექნოლოგიების პილოტირება.

პროექტი ქართველ ფერმერებს საშუალებას მისცემს მიიღონ ინფორმაცია კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ფერმერების კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და შემოსავლების ზრდას.